.....



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ყვარლის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის მენეჯერთან და აღმზრდელებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ ბაგა-ბაღი წახალისებს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში: კერძოდ მშობლებთან ერთად იგეგმება ღია მასალის შეგროვება, ეზოს მოწყობა. ღონისძიებების დაგეგმვა. თემის რესურსის გამოყენება : დაგეგმილია ვიზიტები, მუზეუმში . ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 02.05.2025წ N ბ 88251228 ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, სადაც მუხლი N4.3 -ში გაწერილია 9 საკომუნიკაციო არხი. რომელთა

არსებობაც დაადასტურეს ბაგა-ბაღის მენეჯერმა და აღმზრდელებმა ასევე დაადასტურდა ადგილზე ვიზიტითაც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. . ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 02.05.2025წ N ბ 88251228 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი,
2. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 14/05/2025წ. N 8825134001 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა,
3. ინტერვიუ ბაგა-ბაღის მენეჯერთან, აღმზრდელებთან.
4. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 14/05/2025წ. N 8825134001 ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმა, აღნიშნულ გეგმაში არ არის გაწერილი აქტივობები მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების კუთხით მათ შორის ბავშვთა უფლებებზე და ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღს მიეცეს რეკომენდაცია : მშობელთა /კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებაზე უზრუნველყოფის, დაწესებულებამ შეიძლება ჩამოაყალიბოს მშობელთა კლუბი ან/და დაგეგმოს სხვადასხვა ტიპის სამუშაო შეხვედრები, სემინარები, სადაც მოწვეული იქნებიან სხვადასხვა სპეციალისტები: ფსიქოლოგები, მეთოდისტები. ბაღი ვალდებულია მიაწოდოს მშობლებს ინფორმაცია ბავშვთა უფლებებზე, ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებზე და განვითარების სპეციფიკაზე.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ,რომ 12 თვის ვადაში ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი საკომუნიკაციო გეგმაში შეიტანს ცვლილებებს: გაწერს აქტივობებს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების კუთხით ბავშვთა უფლებებზე და ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით. დაწესებულება ჩამოაყალიბებს მშობელთა კლუბს, გამართავს სემინარებს, შეხვედრებს ზემოთ მითითებულ თემატიკაზე.
ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 14/05/2025წ. N 8825134001 ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმა, აღნიშნულ გეგმაში არ არის გაწერილი მშობლებთან შეხვედრები, სადაც მათ გააცნობენ ბავშვების შეფასების შედეგებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღს მიეცეს რეკომენდაცია : მშობლებთან /კანონიერ წარმომადგენლებთან დაგეგმონ შეხვედრები , სადაც გააცნობენ ბავშვების შეფასების შედეგებს., საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოს წესში“ გაწერილი პერიოდულობის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 14/05/2025წ. N 8825134001 ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმა, აღნიშნულ გეგმაში გაწერილია თემში არსებული რესურსების გამოყენება კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობებისთვის: მაგალითად ვიზიტი მუზეუმში, აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია ...

რჩევა

სასურველია ყვარლის N 2 საბავშვო ბაგა-ბაღს მიეცეს რჩევა უფრო მეტი აქტივობები დაგეგმონ თემში არსებული რესურსის გამოყენებით კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობებისთვის.



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 02.05.2025წ N ბ 88251228 ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, აღნიშნული წესის მუხლი N6-ის მიხედვით გაწერილია, რომ განხორციელებული აქტივობების შესაფასებლად დაწესებულება გამოიყენებს ღია შეხვედრებს და სოციალური მედიის მონიტორინგს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 02.05.2025წ N ბ 88251228 ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი.
2. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 14/05/2025წ. N 8825134001 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა.
3. ინტერვიუ ბაგა-ბაღის მენეჯერთან, აღმზრდელთან.

შეფასება:

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებლის მიერ წარმოდგენილია დაწესებულების ორგანოგრამა, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები. ორგანოგრამა დამტკიცებული არ არის. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „ყვარლის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების დაწესებულების პერსონალის ინსტრუქციები, ქცევისა და ეთიკის ნორმები, რომელშიც გაწერილი აქვს დასაქმებულების უფლება-მოვალეობები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანებით (02.05.2025 წლის N ბ.15.88251227).

სპეციალური განათლების პედაგოგს გაწერილი აქვს უფლება - მოვალეობები. ინტერვიუთი დასტურდება სპეც.პედაგოგის ჩართულობა ყოველდღიურად საგანმანათლებლო პროცესში.

დაწესებულებამ წარმოადგინა ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ დატკიცებული საერთო საშტატო ნუსხა დასაქმების პოზიციების მითითებით რაოდენობრივად, რომელსაც თან ერთვის კონკრეტულად ყვარლის N2 ბაგა-ბაღის საშტატო ნუსხაც. (ჯამში დაკომპლექტებული 24 თანამშრომლით).

სტატუსის მამიებლის მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხა აკმაყოფილებს იმ პროცესების შესრულებას რაც გაწერილი აქვს 4.2. კომპონენტში. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება 4 ჯგუფიდან ვერც ერთ მათგანში ვერ აკმაყოფილებს აღმზრდელის ბავშვებთან თანაფარდობას, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, რადგან დაწესებულებას ჰყავს

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

აღმზრდელის თანაშემწეები და ოთხ ჯგუფზე ჯამში 4 აღმზრდელი 76 ბავშვთან. არსებული ადამიანური რესურსით ექპერტთა მიერ რეკომენდებული ბავშვთა ზღვრული რაოდენობა 58-ია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ და დაიცვას თანაფარდობა ჯგუფში შემდეგი პრინციპით 2-3 (1/13); 3-4 (1/15); 4-5 (1-15); 5-6 (1/15).

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025 წელს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში (05.11.2025 – 05.11.2026) ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი: შეიტანს ცვლილებებს სამტატო ნუსხაში; საჭიროების შესაბამისად, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის მიხედვით, დაამატებს აღმზრდელებსა და აღმზრდელის თანაშემწეებს; გამოაცხადებს კონკურსს და კანონმდებლობის შესაბამისად შეარჩევს პერსონალს, რომლებსაც გაუფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ ბრძანებით (ბ.15. 88251227/ 02.05.2025) დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს“ დანართად ერთვის სამსახურებრივი ინსტრუქციები, სადაც გაწერილია პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (უფლება-მოვალეობები).

დანართში წარმოდგენილია ყველა იმ პირის უფლება-მოვალეობები, ვინც განსაზღვრულია დამოწმებულ სამტატო ნუსხაში. გარდა ამისა, დაწესებულების მიერ თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებს, თან ერთვის პირების ფუნქციები, უფლება-მოვალეობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის დროს. დოკუმენტში დადგენილია “პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები”, რომელიც დამტკიცებულია ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით, ბ.15. 88252103 (29/07/2025). წარმოდგენილია პირების ფუნქციები, რომელიც მკაფიოდაა გამოიჯნული და მოიცავს ყველა მათგანს, ვინც განსაზღვრულია დაწესებულების საშტატო ნუსხაში. დაწესებულების მიერ შემუშავებულ და დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ეწინააღმდეგება ერთ-ერთი აღმზრდელის კვალიფიკაცია. საგანმანათლებლო პირს არ აქვს არც უმაღლესი და არც პროფესიული განათლება ადრეული ან და სკოლამდელი განათლების მიმართულებით, რასაც ითხოვს დაწესებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი კადრების შერჩევა და დანიშვნა. გადახედოს შემუშავებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და პროცესში იხელმძღვანელოს აღნიშნულის მიხედვით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი: უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კანონმდებლობის შესაბამისად, კადრების შერჩევასა და დანიშვნას; დაწესებულება გადახედავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და უხელმძღვანელებს პროცესების სწორად წარმართვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის მიერ პირველადი დახმარების აღმოჩენის ტრენინგის დამადასტურებელი სერტიფიკატები. ტრენინგი არ აქვს გავლილი საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ ყველა აღზრდელს. ჯამში 8 აღმზრდელი/თანაშემწიდან ტრენინგი გავლილი აქვს 4 მათგანს. აქედან 3 დასტურდება სერტიფიკატით, ერთი დაწესებულების მენეჯერთან ინტერვიუთი. გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას მოლაპარაკება აქვს არსებულ პროფკავშირებთან და გეგმავს ყველა საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირის ტრენინგს., თუმცა გაფორმებული მემორანდუმი ან რაიმე შეთანხმება არ წარმოუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ყველა პირის მიერ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგში მონაწილეობა და კომპეტენციის დადასტურება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იკ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ,რომ 12 თვის ვადაში ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი: 1. მოიძიებს უფლებამოსილ ორგანოს და გააფორმებს მასთან ხელშეკრულებას; 2.

საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ პერსონალს გადაამზადებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის მისაღებად. *აღნიშულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.*

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (დამტკიცებული ბრძანებით, ბ15. 88251227, 02.05.2025). დოკუმენტი შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. პერსონალის მართვის კონკრეტული პრაქტიკა არ შემოწმებულა პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში, თუმცა დოკუმენტში გაწერილია დეტალურად პროცედურები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები აღმზრდელთან და აღმზრდელების თანამემწეებთან. ხელშეკრულებები არ მოიცავს არასაკონტაქტო და საკონტაქტო საათებს. დაწესებულებას აღნიშნულ ინდიკატორზე შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელის შესრულების ვადად განსაზღვრულია 24 თვიანი პერიოდი (01/06/2025- 01/06/2027) შესაბამისობა - ნაწილობრივი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის ვადებში უზრუნველყოს აღმზრდელთან/აღმზრდელ-პედაგოგთან ისეთი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება, სადაც განსაზღვრული იქნება საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები. ასევე მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში და შინაგანაწესში გაწერილი აქვს კადრების მოზიდვისა და დასაქმების პროცედურები. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია: მუხლი 8. კადრების მოზიდვა და შერჩევა

1. დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

1.1. ობიექტურობა – შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;



1.2. გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის. გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუთი აღმოჩნდა, რომ პრაქტიკით თანამშრომელთა აყვანა შესაძლოა ყოფილიყო პირდაპირი დანიშვნის გზით, თუმცა ახალი შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპის დაცვით. იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკა არ მოწოდებდა აღნიშნული შეფასება ეყრდნობა გაერთიანების დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს - „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (დამტკიცებულია ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის №815.88251227 ბრძანებით).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესი დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (დამტკიცებულია ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის №815.88251227 ბრძანებით) - მუხლი N18 – “ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია“. მუხლში განხილულია ადაპტაციის მექანიზმები, მათ შორის ახალი გუნდის, უსაფრთხოების წესების, დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა თუ სტრუქტურის გაცნობა, ასევე მენტორინგის სისტემის შესაძლებლობა და არსებობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მენეჯერთან ინტერვიუთი ირკვევა, რომ მოქმედებს ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ეფუძნება გუნდურ მუშაობას და მხარდაჭერას. ტარდება რეგულარული შეხვედრები საგანმანათლებლო პერსონალთან, განიხილავენ გამოწვევებს და ერთობლივად გეგმავენ პროცესს. გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუთი კი დასტურდება, რომ გარკვეული პერიოდულობით აქვთ სხვადასხვა საერთო კორპორატიული ღონისძიებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, საჭიროებების მოკვლევასა და შედეგების გამოყენებას კადრების პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებისთვის. დაწესებულებას სამომავლო პროცესისთვისაც არსად არ აქვს დოკუმენტურად წარმოდგენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პროფესიული განვითარების მიზნით უზრუნველყოს და შეიმუშავოს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის სტრუქტურირებული პროცესი. ეს იქნება რეგულარული კვლევა, ფოკუს ჯგუფი, ინდივიდუალური შეხვედრები, ინციატივების ყუთი თუ სხვა..

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი: პროფესიული განვითარების მიზნით, შეიმუშავებს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის სტრუქტურირებულ პროცესს; დაამტკიცებს: რეგულარული კვლევების, ფოკუს ჯგუფების, ინდივიდუალური შეხვედრებისა თუ საინიციატივო ყუთის აქტივობების განხორციელების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების გეგმა, თუმცა მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია წახალისება და პერსონალის განვითარება (ზოგადი ფორმულირებით) დარეგულირებულია მუხლით 20 თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება:

1. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.
2. დაწესებულება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები:
 - ა) ტრენინგი;
 - ბ) თვითგანვითარება;
 - გ) კონსტრუქციული უკუკავშირი;
3. დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში/პროფესიული განვითარების გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი.
4. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან.

4. დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება:

- ა) ფულადი ჯილდო.
 - ბ) მადლობის გამოცხადება,
 - გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა
- მუხლი 20.3. ნახსენები პროფესიული განვითარების გეგმა ადგილზე არ წარმოდგენია.
- აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.*

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პერსონალის საჭიროებების მოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიმუშაოს და დაამტკიცოს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა ან ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება გამოვლენილ საჭიროებებს.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი შეასრულებს შემდეგ აქტივობებს: 1. პერსონალის საჭიროებების მოკვლევა; 2. პერსონალის საჭიროებებიდან გამომდინარე, პროფესიული განვითარების ან ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

.....

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რითიც დადასტურდებოდა, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს იკვლევს და ითვალისწინებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების გათვალისწინებისთვის შეიმუშაოს გეგმა და ხელი შეუწყოს, მათი ინიციატივების შესაბამისად, პროფესიულ განვითარებას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი განახორციელებს შემდეგ აქტივობებს: 1. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების კვლევა; 2. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი გეგმის შედგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწესებულების ორგანოგრამა
2. გაერთიანების მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხა, ყვარლის N2 ბაგა-ბაღის საშტატო ნუსხა დანართად;
3. პერსონალის პირადი საქმეები;
4. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
5. შრომითი ხელშეკრულებები (საგანმანათლებლო და სხვა პერსონალთან); თან ერთვის დანართად პირების ფუნქცია-მოვალეობები.
6. შინაგანაწესი (დამტკიცებული ბრძანებით ბ15. 882512212, 02.05.2025)
7. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (დამტკიცებული ბრძანებით, ბ15. 88251227, 02.05.2025)
8. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დამტკიცებულია ბრძანებით ბ.15. 88252103, 29/07/2025)
9. გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუ, დაწესებულების მენეჯერთან ინტერვიუ;
10. პირველადი გადაუდებელი აღმოჩენის კომპეტენციის დამადასტურებელი 3 სერტიფიკატი;
11. ინტერვიუს შედეგები;
12. შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით - „ყვარლის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, - „ყვარლის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“ - დასტურდება, რომ პროცესებს მართავს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია: პროცესის სახე, პროცესის დასახელება, პროცესის მფლობელი, პროცესის შემადგენელი ეტაპები, პროცესის მარეგულირებელი წესი/მექანიზმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ყვარლის სკოლამდელი აღზრდისა და დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (02.05.2025 N ბ15.88251226.).

წესს დანართის სახით თან ერთვის შაბლონები:

- მშობლის განცხადების შაბლონი;
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;
- პერსონალური მონაცემების დამუშავების (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველი) თანხმობის შაბლონი.

ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვა ხორციელდება მატერიალური ფორმით განაცხადების მიღების გზით. განაცხადის გაერთიანებაში შესვლის შემდეგ რეგისტრირდება და ეგზავნება კონკრეტულ დაწესებულებას, რაც დასტურდება დამტკიცებულ წესში. აღნიშნული პროცესი დამატებით დასტურდება გაერთიანების დირექტორთან და ყვარლის N2 ბაგა-ბაღის მენეჯერთან ინტერვიუთი.

ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის წესში დარეგულირებულია:

- მშობლის/კანონიერი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულებიდან გაყვანის შესახებ;
- მშობლის/კანონიერი ნებართვა/უარყოფა ფოტო-ვიდეო გადაღება/გამოქვეყნებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ დოკუმენტში (დამტ. ბრძანებით 02.05.2025 N ბ15.88251226.) სტატუსის მაძიებელს გაწერილი აქვს ბავშვის პირადი საქმისთვის შემადგენელი საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ხოლო პერსონალის მართვის დოკუმენტში გაწერილია დასაქმებულისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი. დაწესებულებამ გაერთიანების დირექტორთან და საქმისმწარმოებელთან ინტერვიუს შემდეგ, ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინა: ბრძანება პერსონალის პირადი საქმის წესის დამტკიცების შესახებ, (N 15.8825210001 (29.07.2025) სადაც გაწერილია პირადი საქმის შენახვის ვადა, პასუხისმგებელი პირი და დანართად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი; ბრძანება ბ15. 8825210001 (29.07.2025).

ასევე აღსაზრდელთა პირადი საქმის წესის დამტკიცების შესახებ, სადაც რეგულირდება პირად საქმეზე პასუხისმგებელი პირი და თან ერთვის პირადი საქმისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალის პირადი საქმეები;
2. ბავშვების პირადი საქმეები;
3. პერსონალისა და ბავშვების პირადი საქმის წარმოების წესი (ბრძანება N.15. 882510001);
4. ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი (ბრძანება 02.05.2025 N ბ15.88251226);
5. ყვარლის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები;
6. ინტერვიუ გაერთიანების დირექტორთან, საქმისმწარმოებელთან და დაწესებულების მენეჯერთან.

შეფასება:

4.2 პროცესების მართვა

შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
---	---	---	---

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:

4.3 მატერიალური რესურსი

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	---	--	---



4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული. ტერიტორიაზე არის სამედიცინო ოთახი, ექიმი აღრიცხავს შემთხვევების ჟურნალს და პასუხისმგებელია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე, თუმცა არ არის ეს დარეგულირებული დოკუმენტალურად.

დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. აღნიშნული ინდიკატორზე თვითშეფასების დანართის ფორმად წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა შემდეგი ვადებით - 01.06.2025 – 01/06/2026.

აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი და უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირებისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში (მეტწილი შესაბამისობა) გაწერილი ვადების დაცვით (01.06.2025 – 01/06/2026), დაწესებულებამ უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმოს საგანგებო მართვის გეგმა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ტერიტორიაზე არსებული მცენარეები აღრიცხული და შეფასებული არ აქვს კომპეტენტური პირის მიერ. მცენარეების აღწერა, სავარაუდო საფრთხისა თუ წლოვანების დადგენა, უზრუნველყო ბაღის მენეჯერმა და აღმზრდელმა.

აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ აღწეროს ტერიტორიაზე არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები. აღნიშნული აღწერა ჩაატაროს კომპეტენტურმა პირმა. აღწერით დაადასტუროს, რომ არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს, ხოლო საფრთხის შემთხვევაში შეიმუშაოს გაუვნებელყოფის პროცედურები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი განახორციელებს შემდეგ აქტივობებს: 1. შესაბამისი უწყებიდან კომპეტენტური პირის მოწვევა; 2. მცენარეების ზუსტი აღრიცხვა; 3. საბავშვო ბაღის ეზოს გათავისუფლება მავნე მცენარეებისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს მშობლის წერილობითი ნებართვა ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ განცხადების ფორმით. განაცხადში მშობლები ადასტურებენ თანხმობას როგორც ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, ასევე ფოტო/ვიდეო გადაღებაზე ნებართვას. ფორმაში მითითებულია: ბავშვის სახელი/გვარი; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი; თარიღი; ხელმოწერა.

დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის კონკრეტული უსაფრთხოების წესები დოკუმენტალურად. თუმცა, ბაღის მენეჯერთან და გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ ტრანსპორტის საჭიროების შემთხვევაში, მძღოლს სთხოვენ ტრანსპორტის ტექნიკურად გამართულობის დოკუმენტს, ტერიტორიიდან გასვლისას აქვთ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ყუთი და განსაზღვრული აქვთ საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

დაწესებულების მენეჯერთან და გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუს დროს ჩამოთვლილი, მოქმედი პროცედურები აღწერონ და შექმნან დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებენ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში გარემო პროგნოზირებადი ბავშვისთვის, რაც დასტურდება შენობაში და ჯგუფებში არსებული ვიზუალური მინიშნებებით. ჯგუფურ ოთახებში აქვთ წარმოდგენილი დღის განრიგის შემადგენელი ნაწილების ილუსტრაციები. კურიკულუმის ექსპერტის აღმზრდელებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ პროცესში ბავშვებს აცნობენ დაგეგმილ აქტივობებს და დღის გეგმას.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებლის პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და საქმიანობის წარმართვის პროცესში დაიცავს მას. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა პერსონალთან, 2025 წლის 14 მაისს, ჩატარებული შეხვედრის ოქმი N3, სადაც თანამშრომლები გაეცნენ ბავშვის უფლებათა კონვენციას და დასწრება დაადასტურეს ხელმოწერით.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის მიერ 02.05.2025, ბრძანებით N.ბ.15. 88251225.

დოკუმენტში გაწერილია პროცედურები და თან ერთვის დანართი N1 “ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი“ და დანართი N2 შეტყობინების ფორმის შაბლონი.

სტატუსის მაძიებელს იდენტიფიცირებული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, (საბავშვო ბაგა-ბაღის მენეჯერი) რომელიც განსაზღვრულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით - 24.07.2025; ბ15. 8825205001.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა დოკუმენტი - „ბაგა-ბაღში ბავშვის ადაპტაცია, ტრანზიციის გეგმა“, რომელშიც გაწერილია ბავშვის წინასწარ ემოციური მომზადების ეტაპები, მშობლებისა და აღმზრდელების თანამშრომლობა ადაპტაციასთან დაკავშირებით. ტრანზიციის გეგმაში გაწერილია VI ეტაპი:

- მოსამზადებელი ეტაპი,
- პირველადი შესვლა,
- ეტაპობრივი ადაპტაცია,
- სოციალური ინტეგრაცია,
- მშობლებთან კომუნიკაცია,



- შეფასება და კორექცია.

საგანმანათლებლო პროცესში მცირე ტრანზიციების არსებობა დასტურდება აღმზრდელების მიერ წარმოდგენილ გეგმებში და მათთან ინტერვიუების პროცესში.

აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე რეაგირების ინსტრუქციის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით 06.22.2024 ბ.15.88243112. ასევე დამტკიცებული აქვს ბრძანებით ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში ინციდენტის იდენტიფიცირების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დაწესებულამ წარმოადგინა მშობლისთვის შესავსები განაცხადის გაერთიანებული ფორმა, ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის თანხმობისა და ფოტო/ვიდეო გადაღება, სოც.ქსელში განთავსებაზე ნებართვის ფორმებიც.

აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობლის წერილობითი ნებართვა (დაწესებულებიდან გაყვანა, ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე სოც.ქსელში განთავსებაზე);
2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე რეაგირების ინსტრუქცია (დამტ. ბრძანებით 06.22.2024, ბ.15. 88243112);
3. დოკუმენტი - „ბაგა-ბაღში ბავშვის ადაპტაცია, ტრანზიციის გეგმა“;

4. „ბავშვზე ძალადობის ექვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“ (დამ. ბრ. 02.05.2025, N.ბ.15. 88251225);
5. რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება (24.07.2025; ბ15. 8825205001);
6. 2025 წლის 14 მაისს, ჩატარებული პერსონალთან შეხვედრის ოქმი N3 (ბავშვის უფლებათა კონვენციის გაცნობის შესახებ);
7. კურიკულუმის ექსპერტის ინტერვიუ აღმზრდელთან;
8. ვიზუალური დათვალიერება;
9. დაწესებულების მიერ შევსებული შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:			
4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ სანიმუშოდ წარმოადგინა, საჭიროებისამებრ, ფინანსური უზრუნველყოფის ან დამატებითი თანხის გამოთხოვის ეტაპი. (ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ბ.88. 88251903 (09.07.2025), სადაც წარმოდგენილია ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ). ბრძანებას თან ერთვის გაერთიანების 2025 წლის ბიუჯეტის საერთო ხარჯთაღრიცხვა გაერთიანებაში შემავალი ბაღებისთვის. კონკრეტულ დაწესებულებას ცალკე ბიუჯეტი არ აქვს, თუმცა გაერთიანების მთავარ ბუღალტერთან ინტერვიუთი იკვეთება, რომ სამოქმედო გეგმის შესაბამისად სექტებრიდან დაიწყებენ დაწესებულების სამოქმედო გეგმის მიხედვით ბიუჯეტირებას და ტენდერების გამოცხადებას. სტატუსის მამიებელს აქვს ფინანსური რესურსი, რომელიც განისაზღვრება გაერთიანების საერთო ბიუჯეტიდან. თუმცა, კონკრეტულ დაწესებულებაზე განსაზღვრული ფინანსური ბიუჯეტი არ იყო წარმოდგენილი, რომელიც სამოქმედო გეგმის შეუფერხებლად განხორციელებისთვის ყველა აქტივობას მოხმარდებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ დაადასტუროს ფინანსური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შეუფერხებლად განხორციელებას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი განახორციელებს: 1. ფინანსურ გეგმაში ცვლილებების შეტანას სამოქმედო გეგმაში არსებული აქტივობების განსახორციელებლად; 2. შეცვლილი ფინანსური გეგმის შეთანხმებასა და დამტკიცებას.

აღნიშულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მთავარ ბუღალტერთან ინტერვიუში დადასტურდა, რომ კონკრეტული დაწესებულება, საჭიროებისამებრ, განცხადებით (წინასწარ შემუშავებული ფორმით) მიმართავს გაერთიანებას, გაერთიანება ადასტურებს/არ ადასტურებს დაფინანსების წყაროს. წარმოდგენილ მიმართვის ფორმებში გამოყოფილია სამეურნეო და საკანცელარიო მიმართულებები. აღსანიშნავია, რომ სტატუსის მაძიებელს ცალკე ბიუჯეტი არ აქვს და შესაბამისად, კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისთვის გამოყოფილი რესურსი არსად იკითხება.

აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ საერთო ბიუჯეტთან ერთად, შეიმუშაოს კონკრეტული დაწესებულებისთვის ინდივიდუალური ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრული იქნება კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსით უზრუნველყოფა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი შეადგენს ბიუჯეტს, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული საჭიროებების შესასრულებლად რესურსის უწყვეტ ხელმისაწვდომობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და შესაბამისად, არც ფინანსური რესურსის მართვის შემუშავებული სისტემა. თუმცა ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მთავარ ბუღალტერთან ინტერვიუთი დასტურდება შემდეგი:

მან აღწერა პროცესი ფინანსური რესურსის დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის.

- თანხის მოთხოვნა;
- შესყიდვების სპეციალისტს გადაეცემა რესურსების ჩამონათვალი;
- შესყიდვები იყიდის რესურსებს და მიაწვდის ბალებს მათი მოთხოვნის შესაბამისად.
- მონიტორინგი მოხდება განაწილებათა. არსებობს რესურსების განაწილების ფორმა, რომელსაც ხელს აწერს და ადასტურებს ბაღის მენეჯერი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დაგეგმვა, განკარგვა და მონიტორინგი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში ყვარლის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი შეიმუშავებს და დაამტკიცებს ფინანსური მართვის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვას, გაკარგვასა და მონიტორინგის მექანიზმებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ყვარლის N2 ბაგა-ბაღის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

2. ინტერვიუ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორთან;
3. ინტერვიუ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მთავარ ბუღალტერთან;
4. ინტერვიუ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების შესყიდვების სპეციალისტთან;
5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი (05.11.2025) შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:			
4.7 ფინანსური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. სავალდებულო დანართის დასახელება	
	ვიზიტის დღის წესრიგი
	4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი
	4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი
	4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი
დანართის N	2. სხვა დანართის დასახელება
1	
2	
3	

თარიღი 13/11/2025

ხელმოწერა

სახელი გვარი

ხელმოწერა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ხარისხის ექსპერტი

ნინო ავსაჯანიშვილი

ნ. ავსაჯანიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

კურიკულუმის ექსპერტი:

თინათინ თოიძე

თ. ა. თოიძე

კვების დარგში ექსპერტი:

რუსუდან აჩელაშვილი

რ. აჩელაშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:

იანა გიორგაძე

ი. გიორგაძე